ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4860542

ნომერი: AR1733994

თარიღი : 11.02.2020

გაცემის თარიღი : 19.02.2020

გაცნობის თარიღი : 19.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლება (ყოფ. დავითაშვილი), ჩიხი III , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , ჩიხი III , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა კემულარია პ/ნ 62005000668
- ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) III ჩიხი N6, დავითაშვილის III ჩიხი N3; ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) III ჩიხი N2; დავითაშვილის III ჩიხი N4-ში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (სართო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882019790496, 26.09.2019 წ. საკადასტრო კოდი №01.15.05.090.027; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ეკო რუმისის“ 2019 წლის 10 ოქტომბრის კრების ოქმი N3 (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N200066847, 22.01.2020 წ.), შ.პ.ს. „ბალავერი“-ს საექსპერტო დასკვნა; კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) ექსპერტის დასკვნა N006250717; ასევე ესკიზური პროექტი და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) III ჩიხი N6, დავითაშვილის III ჩიხი N3; ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) III ჩიხი N2; დავითაშვილის III ჩიხი N4-ში საყრდენი კედლის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.